აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 28

05 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

საარჩევნო ოლქის შექმნის მათი საზღვრებისა და ნომრების განსაზღვრის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 20-ე მუხლის, 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის შეიქმნას 6 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი.

2. საარჩევნო ოლქების სახელწოდება და ნომრები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) №79 ბათუმის საარჩევნო ოლქი;
ბ) №80 ქედის საარჩევნო ოლქი;
გ) №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქი;
დ) №82 შუახევის საარჩევნო ოლქი;
ე) №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი;
ვ) №84 ხულოს საარჩევნო ოლქი.

3. აჭარის ავტონომოური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყოველი თვითმართველი ერთეული წარმოადგენს ერთმანდატიან

საარჩევნო ოლქს, თვითმმართველი ერთეულის (მუნიციპალიტეტი) ადმინსტრაციული საზღვარი წარმოადგენს შესაბამის საარჩევნო ოლქის საზღვარს.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია